ხელშეკრულება N 22

სოფ.ნასპერი

15 ივნისი 2018 წ.

ერთის მხრივ სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნასპერის საჯარო სკოლის(შემდგომში დამკვეთი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ მელორი ახვლედიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს. ,,უნიტექნიკი"მისი დირექტორის ა.ბრეგვაძე (შემდგომში ,,შემსრულებელი"), ვთანხმდებით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" პრიმა ქვეპუნქტის საფუძველზე

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ხელშეკრულების საგანია: სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნასპერის საჯარო სკოლის ბიუჯეტის სახსრებით მცირე ფასიანი საოფისე ტექნიკის (მობილური ტელეფონის) შესყიდვა CVP(32250000)

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 440 (ოთხასორმოცი) ლარი და 00 თეთრი.

2. მომსახურების გაწევა დასტურდება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

3. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საანგარიშო თვის 30 რიცხვამდე, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედება

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2018წლის 15 ივნისიდან და მოქმედებს 2018 წლის 20 ივლისის ჩათვლით.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 20 ივლისის

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. დამკვეთი ვალდებულია:

1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

2. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1. უზრუნველყოს დამკვეთისათვის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროული და ხარისხიანი შედრულება;

3. დამკვეთი უფლებამოსილია:

3.1. მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.
2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.
2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:	შემსრულებელი:
სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნასპერისსაჯარო სკოლა	შპს ,,უნიტექნიკი"
ს/კ 242575986	საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 421270038
ა/ა GE15LB0121155624754000	ა/ა GE37BG0000000790661500
ს/ს „ლიბერთი ბანკის" ცაგერის ფილიალი	ბანკის:BAGAGE 22
220101447	ტელ N 593 63 63 00
ტელ # 595 509 717	შპს ,,უნიტექნიკი"
დირექტორის მ/შ /მ.ახვლედიანი/	დირექტორი /ა.ბრეგვაძე/